

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის
N20 ბინაზე, მოქალაქეების პირიძე და თამარი აბესაძეებისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N20 ბინაში მცხოვრები მოქალაქეების პირიძე და თამარი აბესაძეების განცხადება /2012 წლის 03.12 №9932/, რითაც ითხოვენ საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N20 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N20 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს პირიძე და თამარი აბესაძეებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N20 ბინაზე /საერთო ფართობი 31,11 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,12 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,89 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 3,10 კვ.მ./ მოქალაქეების პირიძე და თამარი აბესაძეების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე